ალექსანდრე სელეპანოვი
ბაკალვრიატის სტუდენტი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, საქართველო

განათლება – ისეთი თბილი და ნათელი

თეზისები: 21-ე საუკუნე და 2019 წელი – დრო, როდესაც ტექნოლოგიური განვითარება იმდენად მუდმივი და სწრაფად მზარდია, რომ თითქოსდა, მაქსიმალურად მიიღწევა სრულყოფა სწავლა/განათლების კუთხით. მაგრამ, თითქოსდა მოჩვენებით, რადგან, რაც უფრო მზარდია განვითარების ტემპები, მით უფრო მეტი გამოწვევა წარმოიშობა, რაც ასევე დასაძლევია. ტექნოლოგიური, მენტალური, ნებისმიერი სხვა და სხვაგვარი კომპონენტების სულ უფრო ფართოდ გავრცელება მეტ ადამიანს, კულტურას, სფეროს აკავშირებს და ადრე უცნობი ზედაპირზე გამოაქვს. განვითარება – ალბათ ერთ-ერთი ყველაზე ცოცხალი სიტყვაა, მისგან წარმოშობილი (ან/და პირიქით – ვინ იცის) განათლება – ისეთი თბილი და ნათელია, რომ საქართველოს ახლანდელ დროში ცივსა და ბნელ ციხეში, სატუსაღოში, საპატიმროში (როგორც გენებოთ) სიცოცხლეს უნარჩუნებს, ათბობს და მომავალს ნათელს ხდის პატიმარი სტუდენტებისათვის.
წინამდებარე სტატიაში მიზნად დავისახეთ, ვაჩვენოთ, რა შესაძლებლობებს აძლევს ონლაინ სწავლება პატიმარ სტუდენტებს, როგორი მნიშვნელობა აქვს მათთვის ადამიანთა თანადგომას, როგორ უზრუნველყოფს ახალი ტექნოლოგიები მათ მიმართ ადამიანურობის გამოხატვის შესაძლებლობებს.

საკვანძო სიტყვები: სწავლა, განათლება, ონლაინ სწავლება, ადამიანურობა, თანადგომა, საპატიმრო, ციხე

Résumé: 21e siècle, l'année 2019 – l'époque où le développement technologique est en croissance si rapide qu'il semble que la perfection soit atteinte en termes d'apprentissage / éducation. Mais cela semble être une illusion, car plus le rythme de développement est élevé, plus les défis se présentent, ce qui est également gérable.

La diffusion toujours croissante des ressources technologiques, mentaux ou autres met en contact de plus en plus de personnes, de cultures, de domaines et amène à une surface ce qui jusque-là était inconnu.
Le développement – c'est probablement l'un des mots les plus vifs, et l'éducation qui en dérive (et / ou vice versa – qui sait) – est si chaleureuse et si claire qu'elle préserve la vie aux étudiants prisonniers enfermés dans des prisons froides et sombres, les réchauffe et leur donne l'espoir d'un avenir prometteur.
Dans le présent article, nous visons à montrer quelles opportunités la formation universitaire en ligne offre aux étudiants détenus, à quel point il est important pour eux d'avoir un soutien humain, comment les nouvelles technologies créent les possibilités d'exprimer à leur égard les sentiments chaleureux humains.

Mots-clés: formation universitaire, enseignement en ligne, humanisme, soutien, prison, lieu de détention

ყოველისათვის არის ცნობილი, თუ რა არის საპატიმრო ან/და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება. ეს არის დაცული სივრცე, სადაც სახელმწიფო საზოგადოების დაცვის მიზნით ათავსებს დამნაშავეებს, ვინც როგორც საზოგადოების, ისე სახელმწიფოს გადმოსახედიდან საშიშ ადამიანებს წარმოადგენენ, სადაც სიტყვა „ადამიანი" სიტყვად რჩება აზრობრივი დატვირთვის გარეშე. საქმე მართლა გვაქვს საშიშ პირებთან, რადგან მათ უკვე მოასწრეს საზოგადოების დაზარალება და ვინ იცის, რას აპირებენ გათავისუფლების შემდეგ.

დიდი ხანია, პატიმარი საზოგადოებისათვის არასასიამოვნო მოვლენად იქცა. მაგრამ ის ხომ ერთ-ერთი ჩვენთაგანია, უბრალოდ, ჩვენ მივეჩვიეთ იმ აზრს, რომ თავისუფლებააღკვეთილი პირები საზოგადოებას არ წარმოადგენენ, ადამიანები არ არიან, ნდობას არ იმსახურებენ და საერთოდ, უსარგებლონი არიან. მაგრამ ჩვენ ვცდებით, ყოველი თავისუფლებააღკვეთილი პირი წარმოადგენს საზოგადოებას, იმ საზოგადოებას, რომელმაც დაუშვა, რომ ის გამხდარიყო ისეთი, როგორიც ჩვენთვის არის მიუღებელი. ჩვენ გავზარდეთ ის ისეთად, როგორიც ის დღეს არის, იმიტომ, რომ ჩვენ, ხალხმა, საზოგადოებამ, სახელმწიფომ არ დავიცავით ის ოჯახური ძალადობისაგან, არ უზრუნველვყავით ბავშვის განვითარებისათვის საკმარისად დაცული და მისაღები გარემო, მარტო მივატოვეთ ქუჩაში, სადაც კრიმინალური გარჩევების გარდა, სხვა არაფერი ისმოდა, სადაც ჩვენ თავად

ვთანამშრომლობდით ამ კრიმინალურ სეგმენტებთან. ეს მოხდა მაშინ, როდესაც ჩვენ არ დავიცავით იმ ბავშვის ჯერ კიდევ სიწმინდე, არ მივეცით მას კარგი განათლება, სოციალურ სიდუხჭირეში მივატოვეთ, ჩავთვალეთ, რომ მთავარია, მე ვიყო კარგად, ის ხომ სხვაა…, რა ჩემი სადარდებელია!

გავიდა წლები და ბავშვი გაიზარდა, ოდეს ის იყო სუფთა, ნათელი გონების პატრონი, ვისაც ჰქონდა საზოგადოებისადმი პატივისცემა, სახელმწიფოსადმი ნდობა, ვინც ჩვენ ყველას თავისი ოჯახის წევრებად გვთვლიდა და სამართლიანად ელოდა დაცვასა და თანადგომას.

ბავშვი გაიზარდა და ჩამოყალიბდა ისეთად, როგორადაც ჩვენ ის ვაქციეთ. და ნურავინ იტყვის: „მე ხომ არაფერი დამიშავებია?!“ მაგრამ სწორედ იმაშია უბედურება, რომ დავაშავეთ უმოქმედობით, როდესაც ვფიქრობდით მხოლოდ საკუთარ თავზე და საერთოდ არ გვაინტერესებდა იმ ბავშვების ბედი, ვინც ჩვენს მიერ დანაგვიანებულ ან/და ჩვენს მიერ გაუსუფთავებელ ქუჩაში იზრდებოდა. ის გაიზარდა და დანაშაული ჩაიდინა, დიახ, იმ საზოგადოების წინააღმდეგ, ვინც ის მიატოვა.

ჩვენ კი? ჩვენ მას ბორკილები დავადეთ და თავისუფლება აღვუკვეთეთ, ხელმეორედ უცხოდ ვაკურთხეთ და ზურგი შევაქციეთ. ჩვენ მას კრიმინალი ვუწოდეთ, საზოგადოების მტრად მივიჩნიეთ და თან შეურაცხყოფილნი დავრჩით – ამ გარეწარმა ეს როგორ გაგვიბედაო?

ოთხ კედელში გამოვკეტეთ და გასაღები რიონში ისე გადავისროლეთ, რომ არა მხოლოდ თავად ის პირი, არამედ ისიც დაგვავიწყდა, თუ რა მიზნებს ემსახურება პატიმრობა, თუ რა მნიშვნელობა აქვს სიტყვა „პენიტენციას“ და ის, რომ ის ადამიანიც ადამიანია. ჩვენ უგულვებელყავით ჩვენივე მორალი, სამართალი და კონსტიტუციით განმტკიცებული პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის მიზნები. ჩვენ უარი ვთქვით მასზე და ხელმეორედ დავუშვით იგივე შეცდომა, როგორც ოდეს იმ ბავშვის მიმართ, მხოლოდ ერთი განსხვავებით – ამჟამად ჩვენ ჩავიდინეთ დანაშაული. დანაშაული იმაში მდგომარეობს, რომ თანადგომისა და ხელის გაწვდომის მაგივრად, ჭურს სახურავი დავაფარეთ, ოღონდაც მისი ხმა არ გვესმოდეს.

იკითხავთ: განა ეს დანაშაულია? დიახ, და იმიტომ, რომ დანაშაულად ითვლება არა მხოლოდ მისი პირდაპირ განხორციელება, არამედ ხელის შეწყობაც. როგორ გგონია, საზოგადოებავ, რად ჩამოყალიბდება ეს ადამიანი, ადამიანად რომ არ ვთვლით, იქ, სადაც უბრალოდ ბნელა, სხვა არაფერია არსებული, ნათელი და… გათავისუფლების შემდეგ რას იზამს? ნუთუ საზოგადოებისადმი და სახელმწიფოსადმი

პატივისცემითა და ნდობით განმსჭვალული ხელს შეგვიწყობს ქვეყნის აღმშენებლობაში?

არა, ისევ ჩაიდენს დანაშაულს, ისევ პასუხისგებაში მივცემთ, ისევ გავასამართლებთ და ისევ უარესად ვაქცევთ, იმის ძახილით: – „ამ გარეწარმა ეს როგორ გაგვიბედა?“...

საზოგადოების ასეთი აზროვნება მავნეა როგორც სახელმწიფო კონსტიტუციური წესწყობილებისათვის, ისე იმ ადამიანებისათვის, ვინც თავისუფლებააღკვეთილია და საკუთრივ თავისუფალი საზოგადოებისათვისაც. ეს აზროვნება პრობლემას წარმოადგენს და მისი წარმომქმნელი საფუძველი, ფესვი ერთია – ესაა გაუნათლებლობით გამოწვეული სტერეოტიპები და ადამიანთა სტიგმატიზაცია.

„პირი ისე უნდა გარემოცულ იქნას, რომ მორჯულდეს, გასწორდეს, გაკეთდეს და ისევ პატიოსან კაცად დაუბრუნდეს საზოგადოებას“ – ეს არის ილია ჭავჭავაძის მიერ 1889 წელს „ივერიაში“ გამოქვეყნებული სტატიის ერთ-ერთი წინადადება, სადაც ჩაქსოვილია პატიმრობის მიზნების ჰუმანური არსი და პენიტენციის, როგორც ინსტიტუციის მნიშვნელობა.

სოციალიზაციისა და აღმზრდელობითი კუთხით სახელმწიფოში არსებულ უმნიშვნელოვანეს ინსტიტუტებზე საუბრისას ჩვენ გვახსენდება მხოლოდ განათლებისა და მეცნიერების სისტემა და მასში შემავალი ორგანოები. განათლების სისტემის პასუხისმგებლობა და მნიშვნელობა საზოგადოების სოციალიზაციის საქმეში უდავოა. იგი პასუხისმგებელია დღევანდელზე მეტად ნათელი ხვალინდელი დღის დადგომაზე, მომავალი თაობის მეტ განათლებულობაზე, ისეთი საზოგადოების ჩამოყალიბებაზე, რომელიც მართლზომიერებით განმსჭვალული, ისეთ სივრცეში მოექცევა, სადაც დევიაციის, დანაშაულის ადგილი ვერ იქნება.

თუ განათლების სისტემა სპობს დევიაციის გამომწვევებს, პენიტენცია მათ შედეგებს უმკლავდება. და რადგან კონსტიტუციურად პენიტენციის მიზანი არ არის დასჯა, არამედ პირთა რესოციალიზაცია და განმეორებით დანაშაულის პრევენციაა, იგი წარმოადგენს განათლების სისტემის მომდევნო საფეხურს იმავე სოციალიზაციისა და აღმზრდებობითი კუთხით.

პენიტენცია წარმოადგენს საზოგადოების, სახელმწიფოს, ჯანდაცვის სექტორისა და განათლების სისტემის მიერ დაშვებული შეცდომებისა თუ გაუთვალისწინებლობების გამოსწორების მექანიზმს. პენიტენცია პასუხისმგებელია ადამიანების კანონის მიმართ პატივისცემითა და მართლზომიერებით განმსჭვალვაზე, დევიაციურ აზროვნებასთან გამკლავებაზე, საზოგადოებისადმი და სახელმწიფოსადმი დაკარგული ნდობის აღდგენაზე საზოგადოების უსაფრთხოების უზრუნველყოფის

მიზნით, რაც ხორციელდება ჰუმანურობის, კანონის წინაშე თანასწორობისა და საერო-სამოქალაქო საზოგადოების თანადგომის პრინციპებზე დაყრდნობით. ზუსტად რომ თანადგომით და არა ადამიანთა გარკვეული ჯგუფის არსებობის უარყოფით. ამავდროულად, ყოველი მოქმედება, რომელიც გულისხმობს უკვე ჩამოყალიბებული მსოფლმხედველობის მქონე პირთა მიერ მართლზომიერი და საზოგადოებისათვის სასარგებლო კონტექსტის ღირებულებების გათავისებას, ბენეფიციარზე უნდა განხორციელდეს ტკივილის მიყენების გარეშე. აქ საზღვარი უკეთესსა და უარეს შედეგს შორის თითქოსდა უხილავია, სოციალიზაციის საკითხი მეტად რთულად წარიმართება, რადგან რთულია იმ ჭიქის ავსება, რომელიც უკვე სავსეა. ეს ჭიქა ჩვენი უმოქმედობით და განსაცდელში მიტოვების დანაშაულის შედეგად აივსო საზოგადოებისა და სახელმწიფოსადმი სიძულვილით და უნდობლობით.

პენიტენციას, მეტ სიფრთხილესთან ერთად, მეტი პასუხისმგებლობაც აკისრია. პენიტენცია საზოგადოებისა და სახელმწიფოს არსობრივ განვითარებაში განათლების სისტემაზე არა ნაკლებად მნიშვნელოვან და საპასუხსმგებლო პოზიციას იკავებს, ის საგანმანათლებლო დაწესებულება არის და არა სადამსჯელო ღონისძიებათა გამტარებელი ორგანო.

ყველაფრის მიუხედავად საზოგადოების ნაწილი იმ აზრზე რჩება, რომ პატიმარი არ არის და არ შეიძლება იყოს მისი სრულფასოვანი წევრი. საყურადღებოა, რომ სულ რაღაც ორი წლის წინ სტერეოტიპების მძევალი მეც ვიყავი და ვაზროვნებდი ისე, როგორც გაუნათლებელს შეეფერება. იმის და მიუხედავად, რომ სასჯელს ვიხდიდი და თავისუფალი საზოგადოების გადმოსახედიდან საშიში ცხოველი ვიყავი, მეც მივიჩნევდი, რომ პატიმრის ნდობა არ შეიძლება, პატიმარი საშიშია, მასთან საქმის დაჭერა დაუშვებელია – „გვერდი უნდა აუარო და თავი შორს დაიჭირო მისგან“, იგი გავნებს, იგი დანაშაულს ჩაიდენს, რადგან გამოუსწორებელია, არაადამიანი. თუ ჩემთვის პატიმარი იყო ასე ძლიერ მცდარი სტერეოტიპებით შემოსილი, როდესაც უკვე 4 წელიწადია, ამ ადამიანებთან ერთად ვცხოვრობდი, წარმომიდგენია ან/და ვერც კი წარმოვიდგენ, თუ რა დონის სტიგმატიზაციას ახდენდა საზოგადოება მსჯავრდებულებისა და ყოფილი პატიმრების მიმართ.

ყველაფერი შეიცვალა, როდესაც ჯერ კიდევ პატიმრობისას დავიწყე სწავლა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში. მაშინ ცოდნის მიღებამ შემცვალა და სრულიად საპირისპირო და მეტად ლიბერალური და კონსტრუქციული ღირებულებების ადამიანად მაქცია.

21-ე საუკუნე და 2019 წელი – დრო, როდესაც ტექნოლოგიური განვითარება იმდენად მუდმივი და სწრაფად მზარდია, რომ თითქოსდა,

მაქსიმალურად მიიღწევა სრულყოფა სწავლა/განათლების კუთხით. მაგრამ, ეს შეიძლება მოჩვენებითიც იყოს, რადგან რაც უფრო მზარდია განვითარების ტემპები, მით უფრო მეტი გამოწვევა წარმოიშობა, რაც ასევე დასაძლევია. ტექნოლოგიური, მენტალური, ნებისმიერი სხვა და სხვაგვარი კომპონენტების სულ უფრო ფართოდ გავრცელება მეტ ადამიანს, კულტურას, სფეროს აკავშირებს და ადრე უცნობი ზედაპირზე გამოაქვს. განვითარება – ალბათ ერთ-ერთი ყველაზე ცოცხალი სიტყვაა, მისგან წარმოშობილი (ან/და პირიქით – ვინ იცის) განათლება – ისეთი თბილი და ნათელია, რომ საქართველოს ახლანდელ დროში ცივსა და ბნელ ციხეში, სატუსაღოში, საპატიმროში (როგორც გენებოთ) სიცოცხლეს უნარჩუნებს, ათბობს და მომავალს ნათელს ხდის პატიმარი სტუდენტებისათვის.

განათლების მიღების შესაძლებლობები ვითარდება, და ეს უმნიშვნელოვანესი პროცესები ხორციელდება არა მხოლოდ ხილულ, თავისუფალ სივრცეში, არამედ დახურულ და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში. დღეის მდგომარეობით და ტექნოლოგიური გარღვევის წყალობით, პატიმრებს აქვთ შესაძლებლობა, მიიღონ უმაღლესი განათლება, უმაღლესი და იმდენად მნიშვნეოვანი ცოდნა, რომელიც ადამიანის აზროვნებას ანვითარებს, ფართო მსჯელობის უნარს ანიჭებს და სტერეოტიპებისაგან და სხვათა დოგმატებისაგან ათავისუფლებს. განათლების მიღება და მისი მიღების სულ უფრო მეტ შესაძლებლობათა გზები თავისუფლებააღკვეთილ ადამიანებს თავისუფალს ხდის.

ეს ის პროცესია, რომელიც უდაოდ მნიშვნელოვანია, რადგან ზუსტად რომ განათლების დონის ამაღლებას, საზოგადოებისათვის ოდეს საშიში ადამიანების მიერ ცოდნის მიღება გულისხმობს მათ რესოციალიზაციის და ახალი დანაშაულის თავიდან აცილების მექანიზმის საუკეთესოდ ამოქმედებას.

თავისუფალი საზოგადოების წევრებშიც არიან საშიში ადამიანები და ყველაზე საშიში ჩვენი ქვეყნისათვის არის გაუნათლებლობა, რომელიც ავნებს საკუთრივ მათ, ჩვენ მომავალს ბნელს ხდის და სახელმწიფოს საყრდენს აცლის, რამდენადაც თავისუფალი ადამიანი და გაუნათლებელი, მთლად თავისუფალი ვერ იქნება. ამავდროულად, თავისუფლებააღკვეთილი პირი განათლების მიღების ახალი და ციფრული საშუალებების წყალობით აზრობრივად თავისუფლდება, საზოგადოებაში და სახელმწიფოში მტერს არ ხედავს, არის განმსჭვალული კანონის წინაშე პასუხისმგებლობითა და პატივისცემით და მზადაა, ქვეყნის აღმშენებლობაში საკუთარი წვლილი შეიტანოს, რაც პირველ რიგში გულისხმოვს მის ადამიანობას და იმას, რომ გამოუსწორებელი არავინაა.

როგორც ვხედავთ, ტექნოლოგიურმა წინსვლამ გაარღვია საპატიმროს კედლები და ბნელ სივრცეში სინათლე გააჩინა, იმ მრავალი ადამიანის გონება გაანათა, რომლებიც მზად არიან საზოგადოებაში კუთვნილი ადგილი დაიკავონ. აქ მნიშვნელოვანია იმის აღქმა, რომ განათლება პირდაპირ კავშირშია საზოგადოების უსაფრთხოებასთან. განათლების მიღების საშუალებების, საუკუნოვანი ცოდნის გამყარებისა და ტექნოლოგიური განვითარების პროგრესი ცალსახაა და შეუჩერებელი.

წარმოიშობა ერთგვარი კავშირი საზოგადოებასა და თავისუფლებააღკვეთილ პირთა შორის – 21-ე საუკუნეში სულ უფრო განვითარებადი ციფრული ტექნოლოგიები, ცოდნის ათვისება/გაღრმავების სულ უფრო ახალი და სრულყოფილი გზები, ინტერნეტ უსასრულო სივრცე, როგორც ინფორმაციის მიღების მეტად ხელმისაწვდომობა, ყოველივე ეს ხელს უწყობს საზოგადოების განათლების დონის ამაღლებას, სამოქალაქო პასუხისმგებლობით განმსჭვალვას და მორალური თუ ზნეობრივი, საერო პსუხისმგებლობის გაღვივებას თითოეულ მოქალაქეში. ასეთ პირობებში მცდარი სტერეოტიპები და უსაფუძვლო ტოტალური სტიგმატიზაცია ბათილდება, რაც ხელს უწყობს თავისუფლებააღკვეთილი პირების თავისუფალ საზოგადოებაში სრულფასოვან წევრებად ინტეგრირებას. კავშირი იმაში მდგომარეობს, რომ ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით შესაძლებელი გახდა მსჯავრდებულთა განათლების დონის ამაღლება, რაც პირდაპირ კავშირშია საზოგადოებისა და სახელმწიფოსადმი ოდეს გამქრალი ნდობის აღდგენასთან. აღნიშნული ნიშნავს ამ პირთა საზოგადოებისაკენ, როგორც პლატონი იტყოდა, მზისაკენ, მობრუნებას. ეს პროცესი უკვე დიდი ხანია, რაც დაწყებულია და საზოგადოების უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის მოითხოვს საზოგადოებისავე თანადგომას. ერთი რამ უდავოა – განათლების და ციფრული ტექნოლოგიების გარეშე, როგორიცაა ელექტრონული სწავლება – ამის მიღწევა შეუძლებელი იქნებოდა.